



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის უოველ კვირა დღეს.
№ 50 **ნოემბერი 30 1897 წ.** **№ 50**

შინაარსი: თუშების ორი გუჯარი აღიბანელია. — სხვა-და-სხვა ამბები. — „უკვალის“ კორესპონდენცია. — ახალ მოდის პესიმისტი ლექსი ფანდისა. — ბიბლიოგრაფია 3-სა. — წერალი ქართველ საზოგადოების და რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქების ქართველ სტუდენტთა მიმართ პეტერბურლის ქართველი სტუდენტებისა. — ათი მცნება (დასასრული) გ. წერეთლისა. — მგზავრის შენიშვნება (დასასრული) დ. პატრიშვილისა.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

თუშების ორი გუჯარი.

(და რეგორ უუჩუბდა პარის ქარტული თუშს მე-XIII საუკუნის დაქუკეს.

2/2
„უკვალის“

I.

გამოვა 1898 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბასამდე

„უკვალის“ ხელმძღვანელობას და რედაქციის მართვა-გამგეობას 1 იანვრიდან 1898 წ. იკისრებს ბ. ნოე ყორდანი.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუზაენელათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზაენით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუზაენელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზაენით 4 მანეთ. სამი თვით გაუზაენელათ 2 მანეთ., გაგზაენით 2 მ. 50 კ. ც ათო ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზაენონ ამ წლის გასულს დატურიგდებათ პრემია „ჩვენი ძველი გმირები“ 1896 წლის იმ ხელის მომწერლებს, რომელთაც წლის ფული სრულათ აქვთ შემოტანილი.

სდამიანმა რომ კავკასიის რუქა (ქარტა) გადაშალოს, აღვიოათ შენიშნავს შემდეგს: ამ მთების უმთავრესი მთა-გრებილი ორგან უცბათ მაღლდება, იკვრება კვანძებთ და ამით, თითქოს, არღვევს მის ზოგად მიმართულებას და ხასიათს. პირველი კვანძი წარმოადგენს იალბუზის მთების ჯგუფს და მეტათ დიალია; ხოლო მეორე კვანძი ეკუთვნის ბორბალის მთების ჯგუფს და, შედარებით პირველთან, დაბალია; ეს მეორე კვანძი ძვეს კავკასიის მთების შუაგულში. ბორბალის მთა-გრებილის აღმოსავლეთით მდებარეობა თუშეთი, ე. ი. კავკასიის უმთავრესი მთა-გრებილის პირიქით, ¹⁾ ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ მომეტებული წილი თუშეთის მთების მდინარეებისა მიემკზაერება დაღესტინსაკენ.

1) „უკუნების კარის“ რუქაში კი შინაქათ არის ნიჩვენება.

თუშებს ეკუთვნის საზოგადოთ ოთხი დიდი ხეობა, ხოლო დასახლებულები არიან ორ ხეობაში. მთელ თუშეთს საზღვრებთ აქეთ: ჩრდილოეთით - ჩაჩანი, აღმოსავლეთით - დალისტანი, სამხრეთით - კახეთი და დასავლეთით - ფშავეთი და ხევსურეთი.

მომეტყულებული ნაწილი თუშებისა ცხოვრებს ბინადრათ მთაში. ხოლო მათი მცირე ნაწილი - წოვათუშები - ჩამოვიდნენ კახეთში ზე გააშენეს სოფელი ალვანის მინდორში, თელავიდან 18 ვერსის მანძილზე; მაგრამ მთას ისევ ელტვიან: ერთ მხრივ, იმიტომ რომ ჩვეულებას თავს ვერ ანებებენ, მეორეთაჲ - როგორც საქონლის მიმდევარი და მაშენებელი ხალხი. ამ მიზეზების გამო თუში მიდის მთაში მთელი სახლობით და ზაფხულს (ორ თვე ნახევარს) იქ ატარებს. საზოგადოთ წოვებზე უნდა ითქვას შემდეგი: დროს განმავლობაში და ცხოვრების სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ამათ ემატებოდათ სხვა-და-სხვა რჯულის და ტომის პირნი; ამ ქამათ - წოვა-თუშების თქმით - მათ შორის მოიპოება დიდოს, ხევსურის, ფშაველის და კიდევ სხვა გვარ ჩამომავლობის ოჯახობა. ამ გარემოებით წოვები, ცოტათი მაინც, მიემგზავნებიან ზაპაროჲის ყაზახობას (რუსეთში).

თუშები, როგორც საზოგადოთ მთის ხალხი, დაიყოფებიან თემებათ. თემი, გვანახებთ, ნათესაობითი ჯგუფია. აი, ეს თემებიც: წოვა, გამეწარი, ჩაღმა და პიჩაქითის თემი. ²⁾

სწორეთ ამ თუშებს, - პატრონებს მიუვალ და შეუპოვარ მთებისას, - წყალობდნ საქართველოს მეფეები და საბუთი ჰქონდათ კიდევ. ამ თუშებს არა ერთხელ უღერიათ თავის და მტრის სისხლი საქართველოს მტრისაგან დაცვის დროს. ბევრჯელ უფრენიათ საქართველოს და კერძოთ კახეთის მეფეებს კაცო თუშებისაკენ, რომ ესენი მოშველებოდნ მათ. ვინ არ იცის, რომ თუშები ეხმარებოდნ ალექსანდრე ბატონიშვილს რუსებთან ბრძოლაში; ³⁾ ვინ არ იცის, რომ ასპინძის ომში თუშები გმირულათ ებრძოდნ მტერს, რაიც რ. ერისთავის პოემაშია მოთხრობილი; ვინ არ იცის აგრეთვე, რომ ალავერდში მდგომი შაჰ-აბაზის ჯარი კახელებმა გაწყვიტეს მხოლოთ მთიულეების დახმარებით; ამ მთიულეებ შორის, რასაკვირველია, თუშებიც იყენ. ბახტრიონის ციხის აღების პირველობას ხომ ხან თუშები ჩემობენ, ხან

²⁾ ეს თემი ერთგვარად არ არის; ჩვენ ვფიქრობთ, რომ პიჩაქითის თუშობა ორ თემს უნდა წარმოადგენდეს; მაგრამ ამასე სხვა დროს...

³⁾ ამბობენ, რომ რუსის მთავრობამ ამ საქმის თაობაზე ერთი ქადაგიე ჩამოასწრო ავირაკებულ ურემზე სავარჯულოდ...

ფშაველები... თუმცა, როგორც ჩანს, ეს ომი მთელი საქართველოს საქმე იყო. წარსულ დროში საქართველომ მომეტყულებული წილი თავის დაცვაში მტერთან ბრძოლას მოაწოდებდა, და ამ საქმეში, დრო გამოშვებით, თუშები მონაწილეობას იღებდნ. თუშები ომობდნ; მაშასადამე, არა-ერთხელ გამოუცდიათ თავის თავზე საქართველოს ბედი და უბედობა. ერთი სიტყვით, საქართველოს სამხედრო ისტორიაში თავისი გმირული და ერთგულობის სახელი შთაუბეჭდილათ... ჯერ-ჯერობით ჩვენი მიზნისთვის ესეც კმარა.

ვიმეორებთ, რომ ამისთანა სამსახურის გამო საქართველოს მეფეები წყალობდნ თუშებს. ამ აზრს აშკარათ გვიმტკიცებს თუშების ორი ძველი სიგელი. ერთი სიგელი ეკუთვნის 1757 წლის თებერვლის 7-ს (ფებერვლის 3 ქესუმე), ხოლო მეორე დაწერილია 1781 წლის ენკენისთვის 24 (ენკენისთვის კდ ქესუმეთ). პირველ გუჯარზე ხელს აწერენ - „მეფედ მეფე“ თეიმურაზ და მეფე ერეკლე. როგორც პირველი დოკუმენტი, აგრეთვე მეორეც დიდ ეკონომიურ შემწეობას აძლევს თუშებს. 1757 წლის გუჯარი საშუალოთ უმტკიცებს თუშებს „ალონის“ მინდორს შემდეგი სიტყვებით:

„...არც ჩვენ და არც შეილმან ჩვენმან იქ (ალვანში) სოფელი არც დაასახლოს და არც ავაშენოთ ჩვენ ზე არც ალონის ადგილი ზე მიწა გავცეთ... თქვენთვის და შეილთა თქვენთათვის ამ რიგად გვიბოძებია... არ მოგეშალოსთ ჩვენგან და არცა სხვათა ჩვენთა შემდეგთა მეფეთა და მეპატრონეთაგან“. ეს წყალობა ეალათ ადებდა თუშებს, რომ ამ უკანასკნელებს ეძლიათ ხაზინისათვის მსაფლოთ პაღასის და ფოთლის საჭრე. ეს ხარჯი შეადგენდა მაშინდელ დროში თუშების საკომლო ხარჯსაც და ყოველ გვარ გადასახლსაც საქართველოს ხაზინის წინაშე. აი, გუჯარის მოწმობაც: „... თქვენ როგორც ძველთაგან ან საბალახე და საფოთლე გრთმეოდესთ და საკომლო ისე გამოგერთმეოდესთ“. გუჯარი არ იუწყება იმას, აძლევდნ თუშები მთის ხარჯს თუ არა; თუ მაინც და მაინც ხდებოდათ ხარჯი, ის ძალიან მცირე იქნებოდა. ბალახის და ფოთლის გადასახადი გამოიწვია იმან, რომ თუშებს მაშინაც საქონელი ყავდათ და ადგილებს ბალახით და ფოთლით სარგებლობდნ. საქონელი შეადგენდა მათ ცხოვრების უმთავრეს წყაროს; თუშის ეკონომია, სწორეთ საქონელზე იყო ზე არის დამყარებული. აქ შეიძლება მკითხველს დებოდოს ასეთი კითხვა: იქნება თუშები სრულებით არ მისდევდნ ხენა-თესვასო? მაგრამ ეს ასე არ არის. თუშები მთაში ხნავენ იმდენს, რამდენიც შესაძლებელია იმ პირობებით, რა პირობებსაც იძლევა ადგილის ბუ-

ნება, ადგილის რაოდენობა, და კაცის ეკონომიური ძალა, ცოდნა და სხვა. მაშ რატომ არ ცდილობდნენ თუშები მიწის შემუშავებას ალენში? ალენი ხომ ყოველგვარათ ხელს უწყობდა ამ გვარ საქმეში. ამ კითხვების პასუხათ შეიძლება შემდეგი მოსაზრება: 1, თუშები დროებით ჩამოდიოდნენ ბარში (კახეთში), რის გამო სახნავ-სათესათ არ სცალოდათ; 2, საქონელს იმდენი საზრდო შემოჰქონდა, რომ თუშის ოჯახი საკმაოთ იკვებებოდა წლითი-წლობამდე; ბევრჯელ გასაყალს შემოსავალი აღმატებოდა ხოლმე; 3, ყანის მკის დრო არის დრო თიბათვისა და მკათათვისა, ე. ი. ის დრო, როდესაც ძალიან ცხელია, რე როდესაც თუში ზის მთაში და იგრძობს სხეულს 8⁰ — 3⁰ წყაროს წყლით. ამისთანა დროს ის არ ჩამოემგებოდა ბარში, იმიტომ რომ მოკვდებოდა. დაუმატოთ ყველა ამას ისიც, რომ იმ დროს თუშები კულტურის გავლენის გარეთ იდგნენ და შრომა აგრე რიგათ არ უყვარდათ; პირიქით, ეჯავრებოდათ კიდევ. მიწის შემუშავებას ხომ დინჯი და დიდი შრომა უნდა. ამ ჟამათ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, თუშის ეკონომიური ნიადაგი შეირყა, და თუშმა იკადრა მიწის შემუშავება ბარშიაც. მართლა და, ამ ცოტა ხანში თუშებმა დიდი ყურადღება მიაქციეს მიწის მოსავალს; მაგრამ ძალიან შიშობენ ზაფხულში ბარში დარჩენას⁴⁾, ვერ ჩამოდიან მთიდან ბარში, რისგამო ყოველ გვარ მიწის შემუშავებას და მის ნაყოფის აღებას მუშას ანდობენ. რასაკვირველია ამ რიგათ გაცუთებული საქმე თუშს ბევრს ვერას შეძენს.

ხსენებული სიგელის შინაარსმა თუშებსა რე მეზობლებ შორის ოჩქოლ-ჩოჩქოლი ჩამოაგდო, უთანხმოება დაჰბადა. ეს გარემოება გამოიწვია გუჯრის ორპირობამ. გუჯრის აზრით „ალონის“ მინდორი სამუდამოთ და „სამკვიდროთ“ ეძლეოდათ თუშებს, ხოლო ვინც მოხნაედა ამ ალაგს, იმას უნდა შეეტანა მიწის ღალა საქართველოს ხაზინაში. „ვინცა ვინ მოხნედეგს — მოგვითხრობს გუჯარი — საღალას მიწას, ღალა ჩვენ (მეფეს) უნდა მოგვეცემოდეს“. ამით ისარგებლეს მალრანელებმა, ლალისყურელებმა რე ფშაველელებმა (სოფლები თელავის მაზრაში) რე მკისვე გუთნები შემოუჩინეს თუშებს ალენის მინდორში. თუშებმა მძლავრი წინააღმდეგობა გაუწიეს. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: სიგელი ერთ და-იმავე დროს და ერთ-და-იმავე მამულს უჩენდა ორ სსკა-და-სსკა პატრონს. ამათ არა ჰქონდათ საერთო საზოგადოებრივი წეს-წყობილება, ამათი ჭკუა-გონება სხვა-და-სხვაობდა, ზნე-ჩვეულება სხვა-და-სხვა თვისებისა იყო და სხე. ამასთან-

ნავე თუშს და ბარის ქართველს თავისებური საშუალება ჰქონდა ეკონომიურ ცხოვრების წინააღმდეგობის დასაკმაყოფილებლათ: პირველი უფრო და უფრო აშენებდა საქონელს და მოძრაობდა, ხოლო მეორე მიწის ნაყოფით ცხოვრებდა და იჯდა ალაგობში. ამის გამო თითო მათგანს განსაკუთრებით და თავისებურათ უნდა ესარგებლნა ალენის მინდორით; თუშმა კარგათ იცოდა, თუ რა შედეგი აქვს შენახულ ყამირ ადგილის ბალახს საქონლისათვის, და მიწის მუშასაც არა ნაკლებ ესმოდა, რომ ყამირ ადგილს მდიდარი მოსავალი მოჰყავდა. ერთი სიტყვით, ამათი ეკონომიური ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ. გარდა ყველა ამისა, ამ კითხვის ახსნაში დიდი მნიშვნელობა აქვს თუშების წარსულ ცხოვრების იმ მხარესაც, რომელიც ეხება პირადს ან ოჯახის საკუთრებას. თუმცა თუშებს იმ დროში (დღესაც) მომეტებული წილი თავის მამულისა მთაში ჰქონდათ საერთო მფლობელობაში (წოვა-თუშები მთელ მთას საერთოთ სარგებლობენ), როგორც საქონლის მიმდევარ და მაშენებელ ხალხს, მაგრამ, ამის მიუხედავათ, ამათ იცოდნენ პირადი და ოჯახობრივი საკუთრება მიწაზე. ასე ვთქვათ, პიროვნულ საკუთრებას უკვე ღრმა ადგილი ეჭირა მათ ფსიხოლოგიაში. ცხადია, რომ თუშები მეზობლებს არ მიიამხანაგებდნენ ალენის მინდორის საერთო სამფლობელოთ. ხსენებულ სოფლებმა მეფე ერეკლეს მიაჩვენეს საჩივრის ქაღალდი თუშების წინააღმდეგობაზე. ერეკლემ გასცა ბრძანება 1797 წ. მაისის 9 დღეს (მაისი თქესუპე), ვიღაც თუშთ მოურავ დურმიშხანზე (ალბათ მაშინ გვარს არ იწერებოდნენ), რომელსაც საქმე უნდა გავრიგებინა შინაურულათ: დაეთანხმებინა თუშები იმაზე, რომ სხვა სოფლელებს მოეხნათ ალენის მინდორი. ეს ბრძანება იმისთანა ბრძანება კი არაა, რომელიც დაუყოვნებლივ და უსათუოთ უნდა ასრულდეს და რომელიც თავის განხორციელებისათვის — თუ საჭიროება მოითხოვდეს — იმბარდეს რომელსამე სასტიკ საშუალებას. სრულებითაც არა. ბრძანების შინა-სი ადამიანს უფრო მოაგონებს თათბირს, ამიტომ რომ ერეკლე უმტკიცებს თუშებს, რადგან ეს საქმე მათთვის ფრიალ სასარგებლოა, და ამიტომ უკვე ევლათ ნება უნდა მისცენ მეზობლებს მიწის მოხენისა. „რატომ უნდა დაუშალონ, ამბობს ბრძანება, რამდენიც პურის სიაფე იქნება უფრო სარგებელი არ იქნება თუშებისათვის, სამუდამოთ სომ აწავინ გუდი-ჯუბიან ესენი და ხენას რად უშლით“. რა შედეგი მოჰყვა ამ ბრძანებას, ეს ჩვენ არ ვიცით, ამის შესახებ ნაწერი საბუთები არა გვაქვს; ხოლო ის კი ცხადია ჩვენთვის, რომ თუშებს ბარის მეზობლებისათვის ალენის მინდორი სახნავ-სათესათ არ დაუნებ-

4) ვინც კი ზაფხულდობით ბარში წაქება, მკრათ სხეულდება, და ბეკრი ამ წუთისყოფელს ესაღმება.



ბიათ. ვამბობთ ამას იმიტომ, რომ,—გარდა ნაწერ წყაროების უქონლობისა,—თუშვებს არ ახსოვთ, რომ სხევებს ეხნათ ალვანი და მიწის ღალა კი ეძლიათ სამეფო ზაზინისათვის. მაინც-და მაინც, დასასრული ასეთი უნდა ჰქონოდა ამ საღვო საქმეს, ამიტომ რომ, როგორც ზემოთ ითქვა, ორი პატრონი იმ პირობებით არ გამოდგებოდა ერთ მამულში. გუჯრის ერთი ადგილი ერთ საბუთს კიდევ იძლევა ამ ბაასის ახსნისა და განმარტებისათვის. ზემოთ მოგუყვანეთ გუჯრის ის ადგილი, რომლის აზრით ალვანს მოხნავედა ყველა, ხოლო ამის გადასახალი უნდა შეეტანა ზაზინაში. ამის ქვემოთ დოკუმენტი სულ სხვას ამბობს. დოკუმენტის ეს ორი ადგილი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, არღვევენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ბრძანების შედგენის დროს ან გუჯარი ხელთ არა ჰქონდათ, ან თუ არა და გუჯრის ამისთანა უთავ ბოლოდა ვერ შენიშნეს, თორემ ამისთანა ბრძანების გაცემის საბუთი ხომ აღარ ექნებოდა ჩვენ მაშინდელ მთავრობას. მოვიყვანოთ საჭირო ადგილიც... „და არც ალონის ადგილი და მიწა გავუკეთ“, მოგვითხრობს ორივე მეფის ხელ-მოწერილი გუჯარი. სიგელის ადგილი, რომელმაც დაბადა შუღლი თუშვებსა და მეზობლებ შორის და რომელმაც აიძულა ეს უკანასკნელები მიემართათ მეფისათვის საჩივრით თუშვებზე,—ღარჩა გამოუტყვეველი მთავრობის მხრივ, რადგან ალვანის დავის დოკუმენტებ შორის, ჩვენ ვერა ვიპოვეთ. რასეთი, რომელიც ნათელს ჰფენდეს ამ საბაასო საქმეს. სიგელს, ამისთანა ლოგიკურ წინადადებას გარდა, აქვს კიდევ ერთი დიდი ნაკლი: არ არს ნაჩვენები საზღვრები „ალონის“ მინდვრისა, სათუშოთ ნაბოძებისა. თითქოს გუჯარი განმარტებდეს ადგილის მიჯნებს, როდესაც ამბობს,—„შეგიწვალეთ და გიბოძეთ ალონის ადგილი ჩვენი სასასა“-ა,—მაგრამ რაც მაშინ „სახასო“ ამკარა ზეცხალი იყო, შემდეგ გამოუტყვეველი გახდა. ჩვენი ფიქრით, ამ გარემოებით რსარგებლეს ბარის ზოგიერთა მებატონეებმა და „ალონის“ მინდვრიდან დაისაკუთრეს არა-მცირედი მამულები. ამისთანა აზრს ბადავს ჩვენში გუჯრის ერთი ადგილი, რომელიც ალნიშნავეს შემდეგს: „ამ რუგად ასე წყალობა გვიქნია, საცა ალონის ადგილში სფაფელი არ ყოფილა იყოს“-ო... მიუხედავად ამისა, თუშვებმა ამ რამდენისამე ათი წლის წინათ იყიდეს მამული, სახელდობრ „ოთხ-თვალი“, რომელიც შეადგენს ალვანის მინდვრის აღმოსავლეთ ნაწილს და რომელიც, ვუიქრობთ, „სახასო“ ალვანის განუშორებელი ნაწილი უნდა ყოფილიყო... 5) გუჯარი ჰბადებს აღამიან მი სხვა აზრებსაც, მაგრამ ამაზე შემდეგ.

დ. ალვანელი.

(შემდეგი იქნება)

5) ჩვენ გვსსოვს, რომ ოთხთვალში წესდებოდა რამდენიმე უცხო კომპი და შექმნილ სადღაც წიკიდა; აგ-რეთვე იდგას სის ორსართულიანი კომპი და ამ ბოლოს დრომდე ფიცრული საყდაჩიც.

სხვა-და-სხვა ამბავი.



მოსანს ნ. ი. თამამშევს შეუტანია საბჭო-წინადადება, რომ თბილისში ქალაქმა გახსნას ყრუ-მუნჯთა სკოლა. ბატ. თამამშევს გამოუანგარიშებია რომ სკოლის გასახსნელათ თავდაპირველათ დაჭირდებათ 5000 მ. და წლიური ხარჯი მოუნდება 1,800 მან. ოცა სკოლის შესანახათ, რომელთა შორის ხუთი უფასო უნდა იყოს. თანხის დასაარსებლათ თვითონვე შეუტანია 100 მან.

**

აელაბრელები ძალიან მოწადინე არიან, რომ პროგინაზია გაიმართოს აელაბარში. გაიკეს თუ არა, რომ ამის შესახებ ატყდა ლაპარაკი, მაშინვე შეიტანეს ქალაქი საბჭოში ნუნუქაროვმა ზე ჩითაოვმა, რომ ისინი პროგინაზიისთვის სწირავენ პირველი 800 ზე მეორე 500 კვადრ. საყენს. რასაკვირველია, ეს მიწა სამყოფი იქნება შენობის ასაგებათ.

**

ზოგიერთ წევრს კავკასიის იურიდიული საზოგადოებისას, როგორც გვაუწყებს „ახალი მიმოხილვა“ განუზრახავს, შეიტანოს წინადადება თავის საზოგადოებაში, რომ ცალკე კომისია დაარსდეს, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ნათიკ მსაჯულთა შემოღების წესები კავკასიაში.

**

ხუთშაბათს იყო ბენეფისი ჩვენი ნიჭიერი მსახიობის ვასილ აბაშიძისა. დიდ ძალი ხალხი დავსწრო წარმოდგენაზე და მებენეფისემ მრავალი საჩუქარიც მიიღო. საზოგადოების თანაგრძობა გამოიწვია განსაკუთრებით მობენეფისემ და ნ. გაბუნიათ, იშვიათათ გვეძლევა შემთხვევა ვანათ უკანასკნელის ნიჭიერი თამაში და ამიტომ სამზღვარი არ ჰქონდა საზოგადოების აღტაცებას.

**

ზოგიერთი ვაზეთები გვაუწყებენ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს ნოტარიუსთა თანამდებობის მაგიერ განსაკუთრებული მოხელეები იქმნენ დანიშნულნი.

**

მთავარმართებლის ბრძანებით კომისია არის ამო-ჩიეული ბ. იაკიმოვის თავმჯდომარეობით, რომელმაც უნდა შემწეობა აღმოუჩინოს ქალაქ თბილისის

ლარებებს. კომისია დაიწყებს მოქმედებას იანერიდან ამ განზრახვისთვის 6000 მანათია გადაღებული მთავარ-მართებლის კანცელარიიდან.

* *

გაზ. „ახალი მიმოხილვის“ სიტყვით გორის მაზრის უფროსი თავ. რევზ ერისთავი თანამდებობას თავს ანებებს, იმის ადგილზე ნიშნავენ თურმე ქუთაისის და ლალესტნის სამხედრო გუბერნატორების კანცელარიის მმართველს ა. ა. ბიბიკოვს.

* *

რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები:

1) შავი ჭირი. წიგნი ექ. გიორგი ბაქრაძისა. მეუბნის რედაქციის სტამბის გამოცემა. წიგნი შეიცავს 18 გვერდს. ფასი ერთი შუკრია.

2) „დიდ მოურავიანი ანუ გიორგი სააკაძის ცხოვრება“ ისტორიული შოკმა იოსებ თბილელის ავტორის მოკლე ბიოგრაფიით. იმედაშვილის და ჭელიძის ამხანაგობის გამოცემა. წიგნში 86 გვერდია და ფასს 30 კაპ.

3) ხუმარა სპილოები სემპრონი წიგნი გრ. ტატიშვილის მიერ შედგენილი და გამოცემული ათი ნახატი. ფასს სულ ერთი ახაზათ.



„კვალის“ კარესპონდენციები.

ბჭუჭა. თითქმის ნახევარი წელიწადია, რაც კოდორის ნაწილში ანუ აბჭუევაში სიმშვიდე და სიწყნარე სუფევს. ასეთი მყუდროება კაი ხანია არ ღირსებია ჩვენ მხარეს. ჩვენ იმაზე მოკახსენებთ, რომ ქურდობა და საზოგადოთ ცუდ-კაცობა მეტათ შემცირდა. ამის მიზეზი უმთავრესათ სამურზაყანოს ნაწილის უფროსია, რომელიც თავგამოდებით ცდილობს ქურდობის მოსპობისთვის. მისმა მეცადინეობამ ჯეროვანი ნაყოფიც მოიტანა. იმის მეოხებით ქურდობა თუ მთლათ არ მოისპო ძირეღ შემცირდა, არა თუ სამურზაყანოში არამედ სამეგრელოში და აქეთ აბჭუევაშიაც (კოდორ. ნაწილში). კოდორის ნაწილის უფროსი ბ. ჩ—ი, რომელსაც არაერთი დანაშაულობა ბრალდებოდა, სამსახურის დროს, უმაღლესი მთავრობის განკარგულებით უკვე დათხოვნილია სამსახურიდან. უფროსის თანამდებობას დროებით ასრულებს დ. ოჩამჩირის ბოქაული, რომელზედაც, როგორც ახალ კაცზე ამ საქმეში, არც კარგი ითქმის და არც ავი, ამას კი ვიტყვით, რომ, თუ ადგილობრივი ადმინისტრაცია გულგრილათ არ

მოეცილება, ქურდობის მოსპობა აფხაზებში ისე ძნელი არ არის, როგორც ეს ბევრს ჰგონია. სიმანდის მოსავალი აქეთ კარგად იმყოფება ოღონდ მისი მაზნანდის დაცემა აწუხებს ყველას. „ადესასაც“ ბლომათ ესხა, მაგრამ, სამწუხაროთ, ვერ დამწიფდა რიგიანათ. ავერ გიორგობისთვის ნახევარია, მაგრამ ნახევრათაც არ არის იგი მოკრეფილი... ოჩამჩირეზე ახლო მდებარე ერთ სოფელში, როგორც ამბობენ, ყვავილმა იჩინა თავი. საჭიროა დროზე ჯეროვანი ზომების მიღება.

3—5.

* *

ქ. ქუთაისი. ყველას მოეხსენება, რომ აქ არსებობს ნეტარ ხსენებულის გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობაზე უფასო წიგნთ-საცავი და სამკითხველო. როგორც არა ერთხელ ყოფილა მოხსენებული ქურნალ-გაზეთებში, დიდი ნაყოფი მოუტანა აქაურებს, მაგრამ მცირეოდენი შენიშვნა მაინც უნდა ვარგუნოთ ამ ბიბლიოთეკას. ზოგიერთები უსაყვედურებენ; რომ წიგნები არ მოიპოვებო. დიხააც მართალია. და მე-რე რისთვის?—იმითმ რომ წიგნების გირაო ნახევარი მანეთი და კითხვის ფასი თვეში თითო შაური, მცირეა. მიაქეთ წიგნები და უგდიათ უსარგებლოთ თაროებ-უჯრებში, ე. ი. არ კითხულობენ, რადგან ფასი წიგნის კითხვისა (ერთი შაური თვეში) არაფრათ არ მიაჩნიათ. ამ გვართვე არც ვადა აქეთ დანიშნული წიგნის დაბრუნებისა. ადვილათ შეიძლება, რომ ზოგიერთები არც აპირებდენ წიგნების დაბრუნებას ბიბლიოთეკაში, რადგან, შეიძლება, ის წიგნი, რომელიც წაღებული აქეთ, ნახევარ მანეთზე მეტი ღირდეს, და იქნება სამმანეთიანი წიგნიც შეიჩინონ. ამისთვის ეურჩევე გამგეობას: გირაობის ფასი და წაკითხვის ფასიც მეტი დანიშნონ; ამითი სამკითხველოს მეტი სახსარი მიეცემა და არც არავის, მკითხველთაგანს, გაუჭირდება, რადგან მოსწავლეებს თავდებათ მასწავლებლები დაუდგებიან და მუშებს-თვითონ თვით წიგნთ-საცავის წევრნი. ამასთანავე უსათუოთ ვადა უნდა დაუნიშნონ წიგნის წაკითხვის და დაბრუნებისა. ვინც დანიშნულ ვადას გადააცილებს ჯარიმა გადახდევინონ, როგორც სხვა სამკითხველოებშია და მაშინ ყველა, წიგნებს რიგზე დაბრუნებენ ბიბლიოთეკაში და გამგეობასაც აცილდება ბევრი მითქმამოთქმა.

ეს ბიბლიოთეკა ახლა გადავიდა ქალაქის ბაღის პირდაპირ, კლუბის გვერდით. აქ ყველაფრით კარგათ არი მოწყობილი, მაგრამ ტანისამოსის დასაკიდ ოთახში ღამით ნამეტანი სიბნელეა, და ტანისამოსი ეცვლე-



ბათ ხოლმე, ამითი დიდი უწყსოება ხდება. სასურველია ამას ყურადღება მიაქციონ.

ძუგუბური.

* *

ქ. თქვანი. შათათობით, რომ თელავს და სილნალ შუა მგზავრობა მოგიხდეთ, მკითხველო, უძველესი გზას ვერ აუქცევთ დატვირთულ ურმებს. მერმე რით არიან დატვირთულნი ეს „ერეკლეს ეტლებიო“? იკითხავეთ—რითა და მრავალის მლოცველებით, რომელნიც მიდიან საფრცხვან სხვა-და-სხვა ეკლესიებში და უმთავრესათ ვერც უღლებულ „თეთრ გიორგის“ სახელობაზე აშენებულ ეკლესიაში. ეს „თეთრ გიორგის“ ეკლესია მდებარეობს სოფელ აწყვერში, რომელიც 10—12 ევრსის მანძილზეა თელავიდან, ამ სალოცავს მოაწყდება მთელ კახეთის სოფლებიდან, 40 ლ 60 ევრსის მანძილიდან, შათათობით მრავალი მლოცველი!.. როგორი დარიც უნდა იყოს, რაც უნდა უჭირდეს კახელ გლეხს, ყველას მოითმენს, აიტანს და „თეთრ გიორგობას“ ეკლესიაზე წაუსვლელო არ ღარჩება.

ტ. ჭობაკელი.




ახალ-მოდის პესიმისტი.



აშესიმისტა!.. ქვეანსა
საწყევლა-გრუჯეთ გაღაცა...
იმედი, სულის ჩამდგეული,
ჩაუფუშა და ჩაქცა!..
სულით დაეცა, გაღანდა,
ძალ-ღონე გამოეღია...
აწაწაბას მიეცა:
მისთვის სიცოცხლე ძნელია!..
მას აღარ წვდება ნათელი,
გაწს ასევეთა წვედიადი...
ჩაუქცა გრძნობა-გონება,
მთქსობა საქმე დაადი!..
ბძმლის ველს ზურგი უჩვენა,
დაჭყაწა იაწაღები...
გაიქცა მოშლილ-წამსდაწი,
თან დიდ სირცხვილის წამღები!..

მზე ბრწყინავს—ქვეანსა შენებულნი
სსივებს ჭფუნს აწყ-მანქანებულნი
ბუნებას ამგაბს, გუფს უთბობს
და შუქს უგზავნის მთვარესა...
ეველს სუფდგუელი მოძნაობს,
საქმეს ეწევა ცსაწესა,
მსოფლით ჭაბუკი, საბაწლო,
ფიქრებს ეძლევა მწარესა!..
წა დაეძნობა წა აწის?
წისთვის უწყება მას ბუდი?
თავისი თავი აწყებს,
თუ აწის წინა მობუდი,
რომ ხაწისს ეოფა-ცსაწესა
უგუღმა წავა, შავ-ბუდი,
და შეუმხეველათ დაწვის,
წოგოწრე კაწი და აბუდი?
წა მოგასწენათ!.. ჩვენ მსოფლით
ვიცით იმისი გუწება:
მიეცით კაწგი ადგილი
და შეეცვლება გუნება!..

ფანდი.



ბიბლიოგრაფია.

- 1) ამაზვი ცსოკელთა სამეფოსი, სუწათებით შედგენილი ნ. წუბანის მიერ. თაწმანი გრ. უიფშიძის გამოცემა „წ-კითხვის საწოგადობისა“. ფასი—50 კ.
- 2) როგორ საზრდოებს მცენარე. „სახლი მკითხველის“ გამოცემა. ფასი—25 კ.



ირველი ამოწერილი წიგნი გამოცემულია „წ-კითხვის საწოგადობისაგან“ და რასაკერძეულია, ამისთანა სერიოზული საწოგადობის გამოცემა, შედარებით, მომეტებული ღარსებით უნდა განირჩეოდეს სხვა გამოცემებისაგან. მართლაც რუბაკინის წიგნი კარგი რამ არის. ცხოველების და მცენარების შესახებ იმდენი რამ დაწერილა, რომ დღეს დიდ-ძალი მასალა არის შეგროვილი. ამ მასალით ხელმძღვანელობენ სხვა-და-სხვა წიგნების გამომცემლები. მაგრამ უმეტესი ნაწილი მათ გამოცემათა

უვარგისია. მართალია შეიძლება წიგნში ახალი რამ საინტერესო ამბავი იყოს მოთხრობილი, მაგრამ ეს კიდეც იმას არ ნიშნავს, რომ წიგნი გამოსადგვია. ყოველი მასალა უნდა იყოს ადამიანის განსაფრთხილებლათ დაწერილი! ხოლო განვითარება მართლ ფაქტების ცოდნაში არ მდგომარეობს. განვითარებულ კაცს შეიძლება ბევრი ცოდნა ჰქონდეს, მაგრამ მის მენსიერებას კი ზრუნავს აკლდეს. მისი ცოდნა არ არის აცმული ერთ ძაფზე, მხოლოდ ძაფი, რომელიც ცოდნას ერთად შეაკავშირებს, არის საზოგადო შეხედულებანი, მეცნიერული კანონები. ამიტომ ყოველთვის, როცა წიგნის შედგენას ან თარგმნას შევეუდგებით, უნდა წინდაწინვე დაეუფიქრდეთ, რადენათ ეს წიგნი გვაძლევს საზოგადო ცოდნას, რადენათ აკავშირებს კერძო მოვლენებს და გავაცნობს ამა თუ იმ ბუნების კანონებს. რუბაკინის წიგნი ამ მხრივ არც იმდენად გამოჩენილია, მარა არც დასაწუნია. მთელ წიგნში გატარებულია ერთი დედა აზრი, თუ როგორ იბრძვის ცხოველი თვითარსებობისთვის. ეს აზრი შეგნიერი მაგალითები არის დასურათებული. კარგი ის არის, რომ ეს მაგალითები სხვა უფრო სამეცნიერო წიგნის გაგებისთვის ძრიელ გამოსადგევი იქნება. ასე რომ ამისთანა წიგნი სანატრელია ჩვენთვის. მხოლოდ სავალალო ის არის, რომ ენა მეტის-მეტად ძველია, სიტყვების დალაგება უხერხულია, არ არის ქართული ენის წყობილება. განმარტება, სულ განსამარტებელი სიტყვის შემდეგაა, ასე რომ სულ გესმის „თათასა“—„სასა“. აი ერთი სათაურთავანი: „ჯაჭვი ხოცვა-ჭლელისა“. „დარაჯი ნიანგისა“. „არ გავიანილა, რა ამბავი მოხდა ამ 25 წლის წინად ერთს ქალაქში ციმბირისკენ: გამოვიდა ტუიდან ურიცხვი გუნდი თრითინებისა და გასწია პირდაპირ იმ ქალაქისკენ“.

საზოგადოთ წიგნი გავრცელების ღირსია. არ ჩამორჩება პირველ წიგნს მეორეც. მცენარეზე ჯერ ჩვენში, ვგონებ, ბევრი არა დაბეჭდილარა, მით უფრო სასიხარულოა ამისთანა წიგნი. ეს წიგნი პირველ წიგნს აღემატება თავისი სისტემით და განმავითარებელი მასალის სიდიდით, მასთან ფორმაც აღვილია. წიგნის შემდგენი ყოველგვარათ ცდილა ადვილ გასაგებათ გადმოეცა ცოდნა და ამ მისწრაფებაში ცოტა კიდეც გადაუჭარბებია. ამ წიგნში ტერმინებიც ბევრია და საზოგადოთ კარგათაც არის ნათარგმნი, მხოლოდ ჩვენ გვგონია, რომ კარგი იქნებოდა საქმისთვის, მეცნიერული წიგნის ბოლოს ამოსწერდნ ხოლმე ყველა წიგნში ნახმარ ახალ ტერმინებს. ამით სხვებსაც შრომა გაუადვილდება შემდგომი და შეცდომის გასწორებაც უფრო ადვილი აქნება.

ბ.

წერილი ქართვ. საზოგადოების მიმართ.



ქვი არ არის, თითოეულ შეგნებულ ქართველს იამება, როდესაც ამ სტატისტიკურ ცნობებს თვალს გადაავლებს: „აი, ის, რის შეტყობა და გაგებაც, დიდი ხანია, ჩემ ყურადღებას იზიდავდა, რომ მით მთელი ჩემი სამშობლო ქვეყნის დღევანდელი და მომავალი ბედი გამეთვალისწინებინა“.

სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ ქვეყანას (ჩვენსას, რასაკვირველია, და არა ქვეყნიერობას) რამდენი უმალღეს, სწავლით აღჭურვილი ადამიანი ეზრდება, რა % შეადგენს იგი საზოგადოთ მთელის ერის რიცხვსა და რაოდენობასთან შედარებით, რომელი წოდებაა უპირატესობის მქონე გონებრივ წინსვლაში, რამდენათ თან-და-თანობით მატულობს წლიურათ ამა თუ იმ წოდების წარმომადგენელ ახალგაზდობის რიცხვი უმალღესს სასწავლებლებში, ანუ როგორ კლებულობს იგი, რა გვარ ცოდნას უფრო ესწრაფვის თანამედროვე ახალგაზდობა და შეეფერება იგი თუ არა ქვეყნის დღევანდელ მოთხოვნილებას, რამდენათ ადვილათ ისრულებს წადილს ახალგაზდა სწავლის მწყურველი, გარემოება—უფრო ნიეთიერი—ხელს უმართავს თუ აბრკოლებს, უცხო ქვეყნის ჰავას იტანს, რომელი მხარე ჩვენის ქვეყნისა იძლევა მეტ % განათლებულ ახალგაზდობისას და სხვანი მრავალნი,—ყველა ეს ისეთი მასალაა, რომლის უტყუარი სარგებლობაც ევროპამ დიდი ხანია აღიარა და რომლის საჭიროებასაც სხვებზე მეტათ ჩვენ, ქართველნი, ვგრძნობთ.

საპეტერბურგის ქართველმა სტუდენტობამ განიზრახა აჰას იქით ყოველ წლივ შეჰკრიბოს ხოლმე ასეთი ცნობები რუსეთის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქებიდან და წლის დამლევს საზოგადოებას გააცნოს. ამ მომავალ წლიდან იგი ეცდება საზღვარგარეთ მყოფ ახალგაზდობის შესახებაც შეჰკრიბოს ასეთივე ცნობები, თუ საჭირო დახმარებას აღმოუჩენენ, ვისაც კი ამ ცნობების მოსაწოდებლათ დრო და გარემოება ხელს უწყობს.

თითოეული მხარე სტუდენტთა ცხოვრებისა, რასაკვირველია, ჩვენს საზოგადო მოღვაწეთ ცოტათ თუ ბევრათ დააფიქრებს, თავისს აზრსა და დასკვნას გამოათქმევენებს და დღევანდელ საზოგადო მოსაზრე-



ქართული
ენის ლიტერატურის
საქმიანობის

ათი მცნება

მოკლე ამბავი

დასასრული *)

III



ჩჩ.

სეფორამ იგრძნო თავის ქმრის სიმდიდრე, თუმცა მარდანი ყოველსავე უმაღლესად არა ერთხელაც განზრახ შეუჩივლია თავისი საქმეების აწეწვა. როგორც ღრმა სასოების კაცი, ის ნიადაგ ეჩიჩი-


ნებოდა ცოლს განიერთ მოქცეულიყო, ოჯახობას წინანდელსავეთ გაუთხოვებოდა. შეიღებო მომჭირნობაში აღეზარდა; მაგრამ ცოლმა რა კი დინანა, რომ მარდანს დიდი ხალხი ეხვია, კი სამ სართულიანი სახლიც გამოჰქიმა, საუკეთესო თფილისის ქუჩაზე და ამას გარდა მის საკომისიონერო კანტორასაც კარგა ძალი ფულეები შემოჰქონდა, წახსნა აღვირი თავის გულისტქმას. მან თან-და-თან უფრო დაუწყუო ქმარს ამყობა, მოზრდილი შეიღებოც განაზრახა დედის მხარე დაეჭირათ და სათნოიან მოხუცებულს ძალა დაატანეს დარდუბალის კოლოფი გაეხსნა ცოლშვილის სიამოვნების გულისთვის.

— დიას, შენ ეს გინდა, რომ როცა ღარიბი ვიყავით და გმუახლობდი, დილიდან საღამომდის წელი მქონდა მოწყვეტილი შენი შეიღების მოვლით და სახლების გასუფთავებით, სადილ-ვახშმის კეთებით— ახლაც ისე მომექცე— ესაყვედურებოდა ხოლომე სეფორა.— შენ იქნება ჩემი გასტუმრებაც კი გასურდეს საიქიოს, რომ ჩემ მაგიერათ ახალგაზდა ქალი მოცვა გვერდით, მაგრამ ნურას უკაცრავათ, ვერ მოგართვი. სიღარიბეში თუ გიწვედი უღელს და მე ვბატრონობდი, ახლა სიმდიდრეში რომ შეხვედი, მე თვითონ გამიწვი უღელი. მე ახლა მოსვენება მინდა, თვალი უნდა გავახილო საზოგადოებაში; შეიღები წამომეზარდენ. ჩემ ქალიშვილებს განა პატრონობა არ უნდა? მე ისინი მდიდრათ მორთულ-მოკაზმული უნდა გავიყვანო საზოგადოებაში, რომ საუკეთესო ახალ-

გაზდა ვაჟებს ზედ თვალი დარჩესთ და კარგათ დაეზინაუო; მდიდარი საქმროები მინდა იმათ ვუშოვნო. შენ თუ გიყურე, ჩემო მარდან, შენი ძუნწობა ჩვენ სიკეთეს არ დაგვაყრის. შენთვის არც შეილია, არც ცოლი, შენთვის ფულია ყოველიფერი. მაგისთანა სიმდიდრე ეშმაკსაც წაუღია, თუ შენ ცოლშვილს არ გამოადგება?

დღენიადაგ ამნაირი საყვედურების გამო ხშირათ მომხდარა, რომ მარდანი სეფორასაგან გაჯავრებული სახლიდან გაქცეულიყო და საღამომდის შინ აღარ შემოსულიყო. ბევრი ითმინა, ბევრი იმაგრა მარდანმა, მაგრამ მაინც ველარ გაუძლო ოჯახში მუდამ უსიამოვნებას და ბოლოს დაემორჩილა სეფორას მოთხოვნილებას. რა ექნა?.. შინ მშვიდობიანობა არჩია ფულის შენახვას, მით უმეტეს, რომ მარდანი უკვე ხანში შესული კაცი იყო და იმასაც ფიქრობდა: თუ წავაგე, აი, დარდი!.. დაე, შეიღებმაც ისე იშოვნონ, როგორც მე მიშოვნია, ოღონდ ქალიშვილები დაეზინაუო, თორემ ვაჟები თუ ხეირიანები იქნებიან, თვითონ ვაკვლევენ გზას ცხოვრებაში. ღმერთი აღონაი სულგრძელიაო. რა კი ერთხელვე გატყდა, მერე მარდანი აღარას უშლიდა თავის სეფორას და ყველა გასაღებებიც ბოლოს იმას ჩააბარა. ამას შემდეგ სეფორამ შევნიერთათ მორთო თავისი ოჯახი და იწყო მდიდრულათ ცხოვრება. იმას ხშირათ უყვარდა სიარული ნემცურ კლუბში, იქ გამართულ მასკარადებში, აგრეთვე თეატრებში და ბალებში. მისი სიამაყე მითი კმაყოფილდებოდა, რომ ვერც ერთი ებრაელის ცოლშვილი ისე მდიდრათ ჩაცმული და იმდენი თვალ-მარგალიტით მორთული ვერ გამოვიდოდა საზოგადოებაში, როგორც სეფორა და მისი ქალიშვილები; მაგრამ ასეთმა ხელგაშლილმა ცხოვრებამ მალე დააჩინა კვალი მარდანის შემოსავლის წყაროებს. მისი საკამისიონერო კანტო-

*) ის. „კვლი“ № 49.



რა თან-და-თან ვალიანდებოდა იმის უფროსი შეი-
ლის წყალობით, რომელიც ამ ბოლოს დროს კან-
ტორის საქმეს მართავდა და რაც შემოდინოდა, ჯიბის
ფულათაც არ ჰყოფნიდა; კანტორაში მოსამსახურენი
კი მთელი თვეობით რჩებოდნენ უჯამაგიროთ. ამ გა-
რემოვებამ თვით კანტორის მოჯამაგირებსაც გული
აუცრუა სამსახურზე. ბეჯითმა საკომისიო მიწერ-მო-
წერამ იკლო. ერთხელ დეპეშით გასაგზავნი ფულიც
შემოგზავნა მარდახის შეილს და ამის გამო მისმა
საკომისიონერო კანტორამ ნდობა დაჰკარგა ვაჭრო-
ბაში; მოსამსახურეები გაექცნენ და საქმის კაციც აღა-
რავინ ეკარებოდა მას. ცოტა ხანს იქით საკომისიონერო
კანტორა უსაქმობის გამო კიდევ დაიკეტა. მამას და
შეილს დიდი უსიამოვნობა მოუვიდათ. ამის გამოჯა-
გრებული შეილი გაიქცა თფილისიდან სხვა ქალაქ-
ში და თან რამდენიმე ათასი მანეთის ნივთები: თუ
საათები, თუ ბრილიანტის სამაჯურები, საყურეები,
გულსაბნევეები და ბეჭდები, თუ სხვა-და-სხვა ვერცხ-
ლეულობა, გაიტაცა.

მარდახს მეტი რა ღონე ჰქონდა საუკეთესო
ძვირფასეულობის და საათის მაღაზიაც უნდა და-
ეკეტა. ის იმდენათ სინიღისიერი კაცი იყო, რომ
უკანასკნელი თავის სათადარიგო ფულიც ბანკი-
დან გამოიტანა, რომ რაც ზარალი შეიღობა დაატე-
ხა თავზე, მაღაზიის გაცარცვით, ყველა თვითონ ეზ-
ლო, რომ რუსეთის ვაჭრებთან პირნათლათ გამოსუ-
ლიყო. დარჩა მარდახი მარტო სამ-სართულიანი სა-
ხლის ამარა, რომლიდანაც მას ორას ორმოცდა ათი
თუმანი ძლიერ შემოუღებოდა და ამ ფულის ნახევარიც
სულ სარგებელში მიუღებოდა, რადგან სახლი ბანკში
ჰქონდა დაგირაებული; სეფორა კი მდიდრულათ
ცხოვრებას არ იზოლიდა; ის თითქმის გალოთდა ყო-
ველნიარ გართულობაში და ქალიშვილებიც იმ ზო-
მამდე მიიყვანა, რომ დედას აღარას უგონებდნენ და
თვითონაც თავისუფალ ცხოვრებას ეწეოდნენ. ასეთ-
მა სამწუხარო გარემოებამ ძალიან დააბერა მარდახი.
ის მოიხარა წელში, აუტყდა ქარები; მაგრამ გული
მანც სარწმუნოებრივი გრძნობით ჯერ კიდევ შე-
უღრკალი ჰქონდა. ის ახლა თავის თავს იობს ადა-
რებდა და როდესაც საოცარი ქარებით იხუთებოდა,
ტკივილებს მოსაქარებლათ მხოლოდ იობის წიგ-
ნის კითხვაში გაერთობოდა ხოლმე, რადგან ეგონა,
რომ მისი აუტანელი ტკივილები ეშმაკისაგან იყო
და შორს აღარ იყო ის დროც, როცა მის დახუთულ
ტანს მატლებიც დაესვოდა.

მისმა ცოლმა სეფორამ ისე გაიკერა გული,
რომ სრულდებოდაც არ ზრუნავდა ავანთყოფი ქმრი-
სათვის. იმან ახლა შინ გამართა წვეულობა, აჰყვა თა-
ვის ქალებს, რომელთაც დადევდნენ გართული კეა-

ლები და ყოველ ღამ მხიარული დროს გატარებდა
იყო მის სახლში. მარდახი კი, კარგა ხანია მოშორდა
და თავის ცოლშვილს და ქვემო სართულში დაეკარგა
რა ორი ოთახი, სადაც დღე და ღამე ლოცულობ-
და და დაბადებას კითხულობდა. მისი ქარები, იქნე-
ბა თვით ამ ქვემო სართულის ნესტიანი სადგო-
მის ბრალიც იყო, მაგრამ ის მანც თავს აშორებდა
აქ, რომ თავისი ოჯახის უზნეო ცხოვრება თვალთ
არ დაენახა.

ერთ საღამოს სეფორა ჩაეიდა ქვემო სართულ-
ში თავის ქმრის სასაყვედუროთ. იმან ნახა, რომ მარ-
დახს ის „ათი მცნება“, რომელიც ურჩამ სახლში
დაუგირავა, კუთხეში დაესვენებია, მის წინ ლამპარი
აენთო და გატაცებით ლოცულობდა.

— სულ მაგის ბრალია ჩვენი უბედურება — შეჭ-
ყვირა სეფორამ თავის ქმარს, რომელმაც ამ დროს
ლოცვა გაათავა და ცოლს ღმობიერათ მიეკება.

— ოჰ, სეფორა, სეფორა!.. ნუ ჰკომბ „ათ წმინ-
და მცნებას“. ცოდვაა. ჩემი უბედურება სულ ღეთი-
სგან არის მოვლენილი. როგორც მომანიჭა, ისე მას-
ვე შეუძლია წამართვას.

— მას აქეთ, რაც იმ წყეულმა ებრაელმა შე-
მოგაჩეჩა ეგ „ათი მცნება“, ხელი გაგვიდგა, სულ
უარ-და-უარ წაეიდა ჩვენი საქმე. მაგ „ათ მცნებას“
უბედურების მეტი არა შემოუტანია რა ჩვენ ოჯახ-
ში. მე რომ შენი ვიყო, კი არ ეილოცავ მაკ ქვებზე,
სულ ნაწილ-ნაწილათ დავამტვრევ და გარეთ გადაე-
ყრი — გაცხარებით ეკაპასებოდა სეფორა.


— „თქვა უგუნურმა გულსა შინა თვისსა, არა
არს ღმერთი“ — წარმოთქვა მარდახმა გულის წყრომით.

— უგუნურობაა ეგ, მაშ რა არის: საქმიებს სულ
თავი მიანებე, გარეთაც აღარ გამოიხარ, ეს სახლის
შემოსავალი ნახევარ წელიწადსაც აღარ გეყოფნის;
კაცო, არ იცი, რჩენა გეინდა? ჩემი ძვირფასეულო-
ბა სულ ერთიანათ ზოგი დავაგირავე, ზოგი გაყვიდე;
ქალები სიძეებს უფულოთ არ მიჰყავთ წადი, კაცო,
სასესხებელი მანც იშოვენ, თუ სხვა არა გაქვს რა.

— დედა-კაცო, მოთმინება იქონიე, ღმერთი მო-
გეცემს.

— აბა, ჰა თუ მოგეცემს, ეს არის! ჩვენც ახ-
ლა გეჭირდება — შეჰყვირა სეფორამ რე გაეიდა გარეთ.

ამ დროს მარდახს ქარებმა დაუარა ძარღვებში და
საშინელი ტკივილები აგრძნობინა. ის მიესვენა ტახტ-
ზე, სახეზე ყვითელმა ფერმა გადაჰკრა და იყო ასე
რამდენსამე ხანს ხმა-გაკმენდილი. მის სახეს საოცა-
რი შინაგანი ტანჯვის კვალი დაეტყო. ბოლოს, რო-
ცა შეუმსუბუქდა ტკივილები, ის ადგა, აიღო ხელ-
საჭერი ჯოხი და გამოვიდა გარეთ. ის მიდიოდა ფუ-
ლის სასესხებლათ.



მარდახი სინიდისიერი კაცი იყო და თუმცა არ მოწონდა ცოლშვილის ურიგო ყოფა ქვეყანაში მოხუცებულობის დროს, მაგრამ მაინც თავის წმინდა მოვალეობათ რაცხდა შინაური ოჯახის უსიამოვნობა გარეთ არ გატანილიყო და ქვეყნისთვის არ შეენიშნინებინა, რომ მარდახს გაღარბდაო, ან ცოლშვილში უსიამოვნობა აუტყდაო: იმას უწინდულათვე მდიდარ ღარბაისეღ მოვარეთ მოჰქონდა თავი; სინაგოგაში მუდამ ქედმაღლობდა და დღესასწაულზე ქადაგებას სხვას არ უთმობდა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ უწინდელ ხელგაშლილ ღ მდიდრულ ცხოვრებას უწინდელი შემოსაღლები უნდოდა და ეს კი აღარ იყო. და რადგან ის ვერ ბედავდა ქვეყნის თვალში თავის დამცირებას, ამის გამო ძალაუფლებურათ კერძო ვალებს დაუწყო აღება. იმას ჯერ კიდევ საკმაო ნდობა ჰქონდა საკომისიონერო კანტორებში, რადგან იმავე კანტორებს ხშირათ იმისგანვე მოუწავებოდათ ხელი. ჯერ კანტორებისგან დაიწყო ვალების აღება და ბოლოს კერძო ფულიან კაცებსაც მიმართა. ბევრმა მათგანმა უარიც უთხრა, რადგან კარგათ იცოდნენ მისი შინაური მდგომარეობა, მაგრამ ზოგმა კიდევ ასესხა. თუმცა კი ამათ დიდი ჯარიმებიც ჩაუწერეს იმ შემთხვევისთვის, უკეთუ მარდახი თავის დროზე არ დაუბრუნებდა ფულს მოვალეს შესაფერი სარკებლით.

გავიდა კიდევ ერთი წელიწადი და მარდახის ოჯახი სულ უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა. ვისაც კი ვექსილის ვადა გასელოდა, ყველამ დაუწყო მარდახს სასამართლოდან უწყებების გზაზე. ხშირათ მომხდარა, რომ სეფორა თავის ქალიშვილებიანა აზუღლებელიყონ უწყებების მიღებაზე, მაგრამ მარტო ტირილი რას გააწყობდა? თვით მარდახი სასამართლოში აღარ დადიოდა. მას დაუსწრებელ განჩინებით მიუსაჯებდნენ ხოლმე ნასესხი ფულების გადახდევინებას, მერე მოვალეებს მიჰქონდათ აღსრულებითი ფურცლები. კვირა ისე როგორ გავიდოდა, რომ სამოსამართლო ბოქაული კარზე არ მიდგომოდათ, მაგრამ, აბა, რას გააწყობდნენ. თვით მარდახს ექვსი დამტვრეული სკამის, ერთი დაგლეჯილი ღინისა და ერთი ძველი, კილისგან დახრული, სამფენა მაგიდას მეტი ოთახში არა ედგა რა. მართალია, მისი ცოლი და ქალები ზემოსართულში კარგა მდიდრათ იდგნენ, მაგრამ სამოსამართლო ბოქაული იმათ ქონებას ვერ შეეხებოდა, რადგან სეფორა თავის ოჯახის სამკაულს ქმრის ვალებში არავის ვატანდა, როგორც თავის საკუთრებას. ახლა მარდახი საყვედურისა და ღანძღვაგინების მეტს არას მოელოდა თავის მეუღლისაგან, რომელიც მუდამ წუწუნებდა უფულობას და რაც ძვირფასეულობა ებადა ოჯახში, ან სავარეო ტანსაც-

მელი, ზოგი უკვე ვაყიდა, ზოგიც დავეირავებინა ღ შორს აღარ იყო ის დრო, როცა მისი შინაური მდიდრულ ღატაკ ცხოვრებას უნდა დაბრუნებოდა. იმ დროებაში, როცა ის და მისი მარდახი ტალახის ქუჩაზე იდგნენ. მაგრამ მაშინ ახალგაზდა სიცოცხლით სავეც ცხოვრება მაინც ანუგეშებდა სეფორას და წყალში ვაქნილ ხახვზედაც იოლათ ვამოდიოდა, რადგან გულის ამგზნები ტრფიალებდა თავის საყვარელის მარდახისადმი ყოველსავე შინაურ ნაკლულევენებას ადვილათ აატანიებდა. ახლა?.. სახე დაღმეჭილი, მოხუცებულობისგან ტან-ჩამომხმარი, ვალარიბებული, მასთან ქარებით დახუთული მარდახი, რომელსაც აღარაფრის ვაკეთება და მოხერხება აღარ შეეძლო, რაღა საწუგეშო იყო მისთვის? ვინ იცის, იქნება ხვალ სადილ-ვახშმის ფასიც აღარ ექნესთ, შეიძლება საკუთარ სახლიდანაც ვამოვდონ!...

იმათ სამ-სართულიან სახლს ერთი წლის შეუტანელი სარკებელი ზედ აწვა; დღეს თუ ხვალ ის საერო ვაჭრობით უნდა ვაყიდათ; ამას ვარდა რამდენიმე წლის საქალაქო და სახელმწიფო ვადასახადებიც ზედმეტათ ჰქონდა მიწერილი. ის კი არა, ყველა მოვალეებსაც თავის აღსრულებითი ფურცლები ამ სახლზე დაედგათ, მკლებივით ვარს შემოსეოდენ და უთვალთვალებდნენ, როდის იქნება, საჯარო ვაჭრობით ვაყიდოს მარდახის სახლი და, იქნება, ვალში ჩვენაც დავერჩესო. სასო წარკვეთილი ცოლშვილი ხშირათ ჩამოუვარდებოდა ქვემო სართულში საწყალ მოხუცს და უმისოთაც ქარებისაგან დახუთულს და შეწუხებულ ებრაელს ტანჯვის ცეცხლს უკიდებდნენ. მაგრამ რაც უფრო ტანჯვას ეძლეოდა საწყალი მოხუცებული ებრაელი, იმდენათ უფრო მაგრდებოდა მისი სასოება ივეგოვა-ღმერთზე; მას რწამდა, რომ მისგან მოვლენილი „ათი მცნება“ შექველათ თავის თავსაც ვამოიხსნიდა და თვით მარდახსაც დაიხსნიდა. ამ იმედით ის ყოველ დღე უმატებდა ლოცვას და სასოებით უჩაჩქუნებდა თავს იმ კუთხეს თავის სადგომისას, სადაც მის მიერ ვირაოთ მოპოებული „ათი მცნება“ იყო დასვენებული.

ერთ დღეს ადგილობრივ ვაზეთში ამოიკითხა სეფორამ, რომ იმათი სახლი საერო სავაჭროთ უნდა ვაყიდულიყო. ვაჭრობამდის ერთი თვეც აღარ დარჩენილიყო. ქალს ელდა ეცა. ჯერ ჩვეულებრივ ბევრი იწუწუნა, ბოლოს, როცა მოიღალა ტირილით, ვაყუნდა, მაგრამ ახლა მას ღრმათ ჩაებეჭდა თავში ერთი ვანზრახვა. იმას ცოცხლათ წარმოუდგა თვალწინ, რომ მისი ქმარი იმ წყვეული ურისგან იყო ვალალული, რომელმაც ეს „ათი მცნება“ შემოუგდო ვირაოთ და ისეთი სახლი თავის ეზოიანა დაკარგინა.



ბროკადის
ბეჭდვითი



ხლის გამყიდავი ქალი.

სეფორამ მტკიცეთ დააჯერა თავისი თავი, რომ ის სრულიად ებრაელი არ ყოფილა: ის იყოფო ალბათ, ვინაც ქრისტიანი, რომელმაც „ათი მცნების“ მაგიერათ, რალაც ჯადოქარი შემოუტეგლო მარდახს ცოლშვილის დასაღუპავათ. მით უფრო დარწმუნებული იყო სეფორა ამ აზრზე, რომ თვით იმ ურჩის ქერივი, რომელმაც გარეთუბნის სახლი ადგილიანა წაართვა, შემდეგ ერთმა მიკიტანმა მოანათელინა თავის რჯულზე და შეირთო, რადგან მას კარგი მზითევი ჰქონდა. სეფორას აზრით თუ ის ურჩია ქრისტიანი არ ყოფილიყო, მისი ცოლი მის სიკვდილს შემდეგ ქრისტიანს როგორ შეერთავდაო. ამ სახით „ათი მცნება“ სეფორას უბედურ თილისმათ მიაჩნდა და განიზრახა მისი მოსპობა. განა ცხადი არ არის, რომ ამ თილისმამ ქმარი გამოიგეჟაო — ამბობდა გულში სეფორა. — მას აქეთ, რაც ეს თილისმა ურწმუნო კაცმა შინ შემოგვიგდო, ჩემ ქმარსაც გული გამოეცვალა ოჯახზე და მთელი იმდენი სიმდიდრე ხელიდან გამოგვეცალაო; განა გარეთუბნის სახლი მერე არ დაგვეკარგა, საკომისიონერო კანტორა მერე არ დაგვეწურა, ძვირფასეულობის მალაზნია მერე არ გაგვიქურდა ჩვენმა უბედურმა შვილმა და თვითონ შვილიც, იმან არ გადაგვიკარგა, ვალებიც ხომ მას აქეთ დაგვატყდა თავზე და ახლა ამ ცოტა ხანში სულ უსაფარველოთ დაგდებას გეიქადის. სახლი რომ გაგვეყიდოს, წყალში თუ გადავეარდებით, თვარა მეტი გზა აღარ გვაქვს. არა. მე უნდა უშველო ჩემ ოჯახს. გულიდან ამომიჭრია, ამავე ღამეს უნდა შევიდე ჩუმათ ჩემ გაგიტებული ქმრის ოთახში, მოვებარო ის თილისმა და მტკვარში გადავუძახო, სხვა ღონე ჩვენი ხსნისა, დალუპვისაგან, არა არის რაო — იმეორებდა გულში სეფორა.

მართლაც იმ ღამეს სეფორა წამის-წამს შეიჭვრეტდა ხოლმე თავის ქმრის სადგომში; მაგრამ არა ეშველარა, მარჯვე დრო ხელთ ვერ იგდო, რადგან მოხუცებული ებრაელი ნიადაგ სასოვებით ევედრებოდა ღმერთს და „ათი მცნების“ ლამპრის წინაშე იჯდა სავარძელში, თითქოს ეგრძნოს „ათი მცნება“ არაფერ მომპაროსო.

შუალამე გადასული იყო, როცა მარდახს ძილი მოერია და მიწვა თავის ლოგინზე. ლამპარიც „ათი მცნების“ წინ უკვე იბუჩუტებოდა. ამდროს გაისმა კარების ჭრეკინი. ყურმახვილ მარდახს ეს ჭრეკინი არ გამოჰპარვია; მან თვალევი კიდევ უფრო დანაბა და გაიღურსა; მისი სადგომის კარი კი ნელ-ნელა გაიღო და შინ შემოვიდა შავბურნუსში გამოხვეული ვილაც ქალი. ის მივიდა „ათ მცნებასთან“, იგდო ხელში და საჩქაროთ გაეშურა კარებისკენ. ამ დროს, როგორც ვეფხი, წამოვარდა ლოგინიდან მარ-

დახი, გაექანა კარებისკენ, ჩაელო ხელი ბურნუსში ქურდ დედაკაცს და შეწყვირა: **ე ბ რ ი ნ ე ს უ ლ ი**
„სად მივაქვს, შე ურჯულო, შე წინააღმდეგეთიო?“

— წმინდა ნიეთი კი არა, ეს რალაც ჯადოა, არაწმინდა კაცისაგან ჩვენ ოჯახში შემოგდებული ჩვენ დასაღუპავათო — უპასუხა გულმოსულათ სეფორამ. — მე ამ თილისმას ვეღარ დაგანებებ, რაც უბედურება გვჭირს სიცოცხლეში, სულ ამ თილისმა ქვის ფიცრების ბრალია და სანამ ამ ქვეებს მტკვარში არ გადავუძახებ ვერ მოვისვენებო. — გადაწყვეტილებით უთხრა სეფორამ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, განზე გაიწია, რომ მარდახისგან თავი დაეღწია; მაგრამ სარწმუნოების გრძობამ ეს ქარებით დახუთული მოხუცებული თითქოს ჰაბუკათ გადაქცია, შეეჭიდა თავის ცოლს, დაკუმშა, დარია ხელი, გამოგლიჯა „ათი მცნების“ ქვის ფიცრები, კაი, კაი მუშტებიც უთავაზა და გააგდო გარეთ. ამას შემდეგ მან ჩაკეტა კარები, „ათი მცნება“ ისევ თავის ალბას დაასვენა, უთხრა მას დაერთოს საგალობელი და მერე დაქანცული ბრძოლისაგან ისევ მიწვა ლოგინზე და მიეძინა; სეფორა კი ლანძღვა გინებით წავიდა თავის სადგომში.

მეორე დღეს მეთერთმეტე საათზე მარდახს ერთმა დალაღმა კარზე დაუკაკუნა.

ებრაელი წამოდგა ზეზე, მიაძახა, ვინ ხარო და, როცა ნაცნობი დალაღის ხმა გაიგონა, მაშინვე კარი გაუღო. დალაღმა დიდხანს არ დააყოვნა, უცებ ჰკითხა:

— მარდახ, კარგი მუშტარი გიმოენე, შენი სახლი უნდა იყიდოს. წინდაწინ გაუთხილებ, ამ შემთხვევას ნუ გაუშვებ ხელიდან, თვარა სახლი ტყუილათ დაგვეკარგება. — უამბო დალაღმა.

— შენ იცი, ჩემო კარგო — უპასუხა მარდახმა — თუ გაჭირვებიდან გამომიყვან; ხომ იცი ვილუბები, ეს სულ ჩემი გულკეთილობის ბრალია.

— აბა, მითხარი, როგორ გაჰყიდი?


— თუ რაც ვალები მაქვს, სულ არ მოვიშორე და ერთი ოთხასი თუმანი მეც არ დამრჩა, რა ანგარიში იქნება, რომ გავეიღო.

— ხუთასი თუმანი ვალებს გარდა რომ მოვეცემინო, სადალალოს რას მომცემ?

— რაც მეტი იქნება, ნახევარი შენი იყოს. უპასუხა მარდახმა.

— მაშ დავკარი ხელი, ღიმილით შეჰძახა დალაღმა. საქმე ამ სამ დღეში უნდა გაეთაოთ, თვარა საზოგადო ვაჭრობის დროც მოწვენილია და ტყუილათ წავართმევინ სახლს.

— შენ იცი, რასაც კარგს იზამ — სასოვებით წაუღაპარაკა მარდახმა.



მართლაც არ გასულა ამას შემდეგ ორი საათი, მყიდველმა დაწერილებით დაათვალიერა მარდახის სახლი და გაუჩივრა კიდეც.

ორ კვირას შემდეგ მარდახის სახლში ახალი მებატონე გამოიჭიმა. თვით მარდახ თავის ცოლ-შვილს გაეყარა, მისცა სეფორას ორას ორმოცდაათი თუმანი ზღა დაულოცა. თვითონ იმას კი დარჩა ხელში ორასი თუმანი, რომლითაც მან ერთი პატარა სახლი იყიდა სინაგოგასთან და იმის შემოსავლით იწყო ცხოვრება. სეფორა მაშინვე გაემგზავრა შორს უცხოეთში შეილებიანა, თავის დაკარგული ვაჟის საძებნელათ. მარდახი კი ყოველ შაფათს სინაგოგაში ქადაგებდა და ღვთის მსახურებაში ატარებდა თავის დროს. მან „ათი მცნება“ დიდი მოწიწებით სამუდამოთ იქ დაასვენა და წარმოთქვა:

— „აკი, ვამბობდი ეს „ათი მცნება“ როცა იქნება, მეც დამხსნის და თავის თავსაცა შეთქი.

იმას მართლაც კვლავ ელირსა მახუცებულობის დროს ბედნიერი მყუდრო ცხოვრება. ამას შემდეგ ის კიდე უფრო გატაცებით აღიდებდა ღმერთს-იეგოვას, რომელმაც მრავალ განსაცდელს შემდეგ არ დაადო თავისი ერთგული მსახური.

ბ. წერეთელი.

მგზავრის შენიშვნები

(ეკონომიკა)*;

(დასასრული) *

VI

შირველათ, როცა ბურჟუაზია ახალი ფენადგმული იყო, წარმოებაში კაპიტალისტის პირადობას, პირად ნიქს, გამჭირაობას, მოხერხებას, ენერჯიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ვაჭარს, მრეწველს მუდამ თავის საქმეზე უნდა ეზრუნა, ფიქტრა, მის კარგათ წასაყვანათ ახალი და ახალი საშუალებანი უნდა გამოენახა. ასეთ მუდმივ ფიქტრს, მუდმივ ზრუნვას მისი ბუნებრივი ნიქი წარმატებაში მიჰყავდა და მის პიროვნებას, როგორც ადამიანს, ავითარებდა.

მარა მრეწველობა თან-და-თან იმ ზომამდის გაიზარდა, გადაიდა, რომ მის წასაყვანათ, სახეიროთ მოსაკარებლოთ თითო განცალკევებული კაპიტალისტის მილიონებაც საკმარისი აღარაა. ამასთან წარმო-

ებაში უწყეს-რიგობა, ერთი მწარმოებლის მიერის განდევნა მოუკიდებლობა, საზოგადოთ საალალ-ბედლო მოქმედება-მრეწველობაში საშინელ არეულობას იწვევს, კრიზისები კრიზისებს მოსდევს; ამ დროს მრავალი კაპიტალისტი კოტრდება, კრედიტი ჰქრება, საქონელს მყიდველი არა ჰყავს და უსარგებლოთ საწყობებში ღებება და სხვა და სხვა.

ასეთი გარემოება აიძულებს კაპიტალისტებს ერთათ შეერთებით და საერთო კაპიტალებით წარმოების წაყვანას, დგება კომპანიები, ათასი აქციონური საზოგადოებები. გამოდის აქციები, ობლიგაციები... ესენი იყიდება, ამით გაბნეული დაქსაქსული კაპიტალი გროვდება და საქმე იჩარხება...


მარა კაპიტალისტი, მისი პირადობა? აქ პირადობა აღარაა, გამქრალია, ფიქციათ ქცეულია... აქ არის კამპანია, „საზოგადოება“, და არა ვინმეს სახელი, პიროვნება. კამპანიაში თვითოეული კაპიტალისტი ერთი მონაწილეა, მისთანა სხვა იქ კიდევ ათასია. თვითონ მას წარმოების წაყვანაზე თითქმის არაფითარი გავლენა აღარ აქვს. საქმის წასაყვანათ ურიცხვი მუშები, გამგენი, ინჟინრები და მექანიკოსებია. თვითონ კაპიტალისტი წარმოებას დაშორებულია. ის მას აღარ ჰხედავს, აღარ უყურებს, რადგან წარმოებისთვის მისი თვალის ჰქერა სრულიათაც საჭირო აღარაა. ის სამოქმედო ასპარეზიდან გამორიყულია... მან იცის აქ კუპონების მოჭრა და დივიდენდის აღება. მეტი შრომის მიღება მას ალა ეჭირვება. ის ვეღარ ჰხედავს თავის ქონებას, თავის საკუთრებას.—ეს „იქ“ არის, იმ კამპანია—საზოგადოებაშია, წარმოებაში სხვის ქონებასთან შერეულია, შეერთებულია. აქ ამის გამოცნობა, სხვისგან გამოცალკეება თითქოს შეუძლებელიცაა... ქონება პატრონს შორდება, პატრონი საკუთრებას... ინდივიდუალურ ქონებას ბინდი ეფარება, კერძო საკუთრებას ფეხქვეშ საფუძველი ერყვეა და კოლექტიურ მფლობელობისთვის ნიადავი მზადდება...

ამავე დროს კაპიტალისტური წარმოების სვლა ძალიან საგულისხმიერო გაკვეთილებს აძლევს მუშახალსს.

წერილ წარმოებაში ნაწარმოებს ინდივიდუალური ხასიათი აქვს. მაგალ., მეწაღე მთელს წალას თვითონ აკეთებს: ჭრის ტყავს, ზომავს, ჰკერავს, კალაპოტში დებს, ასე რომ ბოლოს წაღები სრულდება და მეწაღე თვალსაჩინოთ ჰხედავს, რომ გაკეთებული წაღები მისი ნაწარმოებია, მისი საკუთარი მუშაობის ნაყოფია. აქ ნაწარმოების დამოკიდებულება მწარმოებლის პიროვნებასთან ცხადათ და თვალსაჩინოთ ჩანს.

კაპიტალისტურ წარმოებას კი, წინაღმდეგ ამისა

*) ის. „კვალი“, № 49.



საზოგადოებრივი ხასიათი აქვს ზე ნაწარმოებიც აქ ასეთივე ხასიათისაა. ფაბრიკაში ერთ წყვილ წალღებს აკეთებს არა მარტო ერთი მუშა, როგორც მეჩვევით თანხის სახელოსნოში, არამედ მუშათა მთელი გუნდი. თითო წალა აქ, სანამ დასრულდებოდეს, მრავალი მუშის ხელში გაივლის, თითოეული მათგანი მაშინების შემწეობით ერთ განსაკუთრებულ ნაწილს აკეთებს: ერთი ტყავს ჭრის, მეორე ამას კალაპატს უთანასწორებს, მესამე ძირის პირს აკრავს, მეოთხე ჭედს, ჰლებავს და სხვა... ყველა ეს იქიდან წარმოდგება, რომ ფაბრიკაში ძლიერი შრომის განაწილება არსებობს. და ბოლოს წალა სრულდება, ის დამზადებულია, მარა არც ერთ მუშას არ შეუძლია თქვას, რომ ის მისი გაკეთებულია. მან აქ მხოლოდ ნაწილი გააკეთა და არა მთელი ნივთი. მთელი ნივთი ყველას გაკეთებულია, საერთო მუშაობით შექმნილია.

ამის გამო კაპიტალისტურ წარმოებაში კერძო პირი ვერ იტყვის: ეს „ჩემი“ გაკეთებულია ზე ის — „შენი“. ასეთი გარჩევა აქ შეუძლებელია, რადგან ნაწარმოებზე კერძო პიროვნების ხელი, მუშაობა არ ატყვია. აქ ნაწარმოები შორდება მწარმოებლის პიროვნებას, ჰკარგავს პირადს, ინდივიდუალურ ხასიათს.

მუშა ხალხი თან-და-თან ეჩვევა საერთო შრომას, კაპიტალისტური წარმოება ისეთი დიდია, რომ კერძო ადამიანი აქ ვერას გააწყობს; უთვალავი მაშინების გარშემო საჭიროა მრავალი მუშა, ადამიანთა შეერთებული ძალა.

ამასთან პროლეტარისთვის კერძო საკუთრება აღარ არსებობს. მას არაერთარი ქონება არ გააჩნია გარდა იმისა, რაც მას ტანზე აცვია და რასაც დღით-ღამით მოიხმუშავებს და შეჭამს. ამიტომ ის კერძო საკუთრების დამცველი აღარაა. მისი გონება ამ მხრით სრულიად განთავისუფლებულია. ის ჰხედავს კოლექტიურ შრომას, ჰხედავს კოლექტიურად დამუშავებულ საქონელს და, რასაკვირველია, ამის გამო მისი გონება ეჩვევა იმ წარმოდგენას, იმ აზრს, რომ ყველაფერი ასე შეერთებული ძალით, საერთო შრომის ნაწარმოები საერთო კუთვნილება უნდა იყოს და არა რომელიმე კერძო პირის...

ამგვარად მომართული მუშა ხალხის გონება წარმოადგენს ძალიან ნაყოფიერ ნიადაგს პროგრესისულ მოძღვრების შესათვისებლათ. მუშა ხალხი თან-და-თან თვით ცნობიერებაში მოდის, ერთიანდება, იცებს თავის დანიშნულებას, საკუთარ კლასისურ ინტერესებს მდიდართა წინააღმდეგ, ჰხედავს, რომ მას მხოლოდ შეერთებული ძალით შეუძლია ბრძოლა და ბრძოლის მოგება, — და იზრდება ბურჟუაზიისთვის საშიშარი ძალა... მუშა ხალხი თან-და-თან შედის პოლიტიკაში, მისი პოლიტიკური ძალა დღით-ღამით იზრდება... ყველა ამას საზოგადოების ეკონომიური გან-

ვითარება ხელს უწყობს და შორს აღარ არის ის დრო, როცა პროლეტარი კლასსთა არსებობას მხოლოდ პაბს, საწარმოვო იარაღთ მთელი საზოგადოების საკუთრებათ აქცევს და კაცობრიობის ცხოვრებაში სრულიად ახალ ხანას შექმნის...

საზოგადოებას კლასებათ დაყოფა ახლანდელ დროში, ადამიანთა ცხოვრების წინ მსვლელობისთვის, აუცილებელ საჭიროებას აღარ შეადგენს. დღემდის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ მუდამ კლასებს. ისტორიული ცხოვრების განმავლობაში ადამიანთა საზოგადოება მუდამ ყოფილა კლასებათ დაყოფილი. ეს იქიდან წარმოდგებოდა, რომ საწარმოვო ძალა არას დროს არ ყოფილა ისე განვითარებული, რომ ნაწარმოები მთელი საზოგადოების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ საკმარისი ყოფილიყოს. მარა ასეთი ნაკლულევენება დღეს აღარ არსებობს. წარმოება იმდენათ განვითარებულია ზე თან-და-თან ისე ვითარდება, რომ კეთილდღეობა, გაუჭირვებლათ ცხოვრება, არა მარტო ერთი რომელიმე კლასისთვის, ერთა რომელიმე ნაწილისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის შესაძლებელი ხდება.

როცა ეს „შესაძლებელი“ განხორციელდება, ცხადათ იქცევა, — აი, მაშინ დაიწყება კაცობრიობის ბედნიერება, ნამდვილი „ოქროს საუკუნე“ მაშინ დადგება...

მაშინ „მოისპობა საქონლის წარმოება და მასთან ნაწარმოებ ნივთთა მწარმოებლებზე ბატონობა. არეულობა საზოგადოებრივ წარმოებაში შეიცვლება და მის მაგივრათ წინ და წინვე მოაზრებული წეს-რიგი დამყარდება. მოისპობა ადამიანთა ერთმანერთში ცხოვრებისთვის ბრძოლა. კაცი განთავისუფლდება ცხოველობიდან და ცხოვრების ცხოველურ პირობებიდან გადავა ისეთ პირობებში, რომლებიც მართლა ადამიანურ ცხოვრებას შეეფერება. ადამიანი მხოლოდ აქ გახდება ნამდვილათ შეგნებული მბრძანებელი ბუნებისა. საზოგადოებრივ ურთიერთობათა კანონები, რომლებიც ახლა კაცობრიობაზე სტიქიურათ, დაუმორჩილებლათ მოქმედობენ, მაშინ ადამიანის მიერ იქნებიან მომართულნი. საზოგადოებრივი წეს-წყობილება, რომელიც ახლა თათქოს რაღაც ზეგარდმო ნაბოძებსა ჰგავს, მაშინ ადამიანის ნამდვილი თავისუფალი მოქმედების შედეგი შეიქნება და მის კანტროლს დაუმორჩილებლობა. კაცობრიობა მხოლოდ მაშინ შექმნის შეგნებულათ თავის ისტორიას. ერთი სიტყვით, ეს ადამიანის აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში გადასვლა იქნება“...

ფ. მატიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წყნეთლისა.